ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულება № =====

=====, საქართველო
==.===.2026

წინამდებარე დეპოზიტის ხელშეკრულება (შემდგომში მოიხსნიება როგორც „**წინამდებარე ხელშეკრულება**") დადებულია ზემოთ მითითებულ თარიღში, შემდეგ მხარეთა მიერ და შორის:

ბანკი:
სს „იშბანკი საქართველო" (საიდენტიფიკაციო კოდი 404496611, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი., 72ა,, ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი., 72ა, ტელეფონი: +995322442244, ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ლიცენზირების ფორმა: საბანკო საქმიანობის ლიცენზია, საზედამხედველო ორგანოს დასახელება: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2)

წარმოდგენილი:
უფლებამოსილი წარმომადგენელის, ===== (პ/ნ =====) მიერ, ერთის მხრივ და

კლიენტი:

შემდგომში მოხსენიებული ცალ-ცალკე როგორც „მხარე" და ერთობლივად, როგორც „მხარეები", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ზოგადი დებულება**

1.1. „წინამდებარე ხელშეკრულება" და მასში მოყვანილი წესები შემუშავებულია საქართველოს საბანკო კანონმდებლობის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმებში, განსაზღვრავს დეპოზიტის (ანაბრის) გახსნისა და მომსახურებისადმი საერთო მიდგომას.

1.2. ხელშეკრულებაში მოყვანილი დებულებები ვრცელდება ნებისმიერ პირზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეზე), რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით აქვს ანგარიშის გახსნის უფლება.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1. ბანკი ამ ხელშეკრულების შესაბამისად კლიენტს უხსნის სადეპოზიტო საბანკო ანგარიშს (ლარში/უცხოურ ვალუტაში), რომელზეც კლიენტი განათავსებს ფიქსირებულ თანხას იმ ოდენობით, რომელიც მითითებულია მუხლში 2.4 („თავდაპირველი სადეპოზიტო თანხა"). „პირველადი

Term Deposit Agreement № =====

======, Georgia
==.==.2026

The Present Deposit Agreement (hereinafter the "**the Present Agreement**") is made made on the above indicated date, by and between:

Bank:
JSC ISBANK GEORGIA (identification number 404496611, legal address: I. Chavchavadze ave. 72a, Tbilisi, Georgia, phone: +995322442244, licensed by the National Bank of Georgia, Licensee Form: Banking License, Supervisor Name: National Bank of Georgia, Address of National Bank of Georgia: 2 Sanapiro St. 0114 Tbilisi, Georgia)

Represented by:
The authorized representative, ==== (P/N: =====), on one hand, And

The Client:

Hereinafter separately referred to as the "Party" or mutually the "Parties", enter into this Agreement on the following:

1. **General Provision**

1.1. The Present Agreement and terms and conditions contained herein are drafted and developed in accordance with Georgian banking legilslation and other legal acts that, on the territory of Georgia, regulate the general approach towards deposit account opening and maintenance.

1.2. The terms and conditions contained herein shall extend to any person (including the Individual Entrepreneur), which has the right to open an account under Georgian Legislation.

2. **Subject of the Agreement**

2.1. The Bank hereby opens for the Client a Deposit Bank Account (in GEL/Foreign Currency), on which the Client deposits a fixed amount of money specified in clause 2.4 herein (the Initial Deposited Amount). The Initial Deposited Amount is transferred into Bank's ownership

სადეპოზიტო თანხა“ გადადის ბანკის საკუთრებაში 2.5 მუხლში მითითებულ ვადამდე („ვადა“). „ვადის“ ამოწურვის შემდგომ ბანკი ვალდებულია დაუბრუნოს კლიენტს „თავდაპირველი სადეპოზიტო თანხა“ და მასზე 2.8 მუხლში აღნიშნული დარიცხული პროცენტი. აქვე ზუსტდება, რომ „ვადის“ ავტომატური გაგრძელების შემთხვევაში ხდება დარიცხული საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაცია (კლიენტის შეხედულებისამებრ: რჩება ან წაიშლება ეს პირობა).

2.2. ანგარიში იხსნება კლიენტის განცხადების საფუძველზე, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერისა და ბანკის ანგარიშის გახსნის პროცედურებით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

2.3. დეპოზიტის ანგარიშის ნომერი: ====, რეფერენსის ნომერი: ======.

2.4. თავდაპირველი სადეპოზიტო თანხა: ---- (----) -----.

2.5. დეპოზიტის ვადა: == (====) დღე ანუ ==/==/==== ჩათვლით.

2.6. დეპოზიტის ვადის გაგრძელების პირობა: არ გაგრძელდება 2.5. პუნქტში მითითებული ვადით / ავტომატურად გაგრძელდება 2.5. მითითებული ვადით (კლიენტის შეხედულებისამებრ ხდება ერთ პირობის არჩევა და მეორეს წაშლა).

2.7. საპროცენტო სარგებლის გატანა: ყოველთვიურად.

2.8. დეპოზიტის პროცენტი: წლიური ==== (=====) ==== %;

2.9. დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული

2.10. დეპოზიტის ხელშეკრულების დასრულებამდე დაუშვებელია დეპოზიტის შეწყვეტა და ვადიანი დეპოზიტის თანხის გატანა/გადარიცხვა ბანკის თანხმობის გარეშე.

2.11. თუ წინამდებარე ხელშეკრულების 2.10 მუხლის შესაბამისად ბანკი გასცემს თანხმობას, მაშინ: დეპოზიტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დეპოზიტს დაერიცხება: 0 (ნული) %, ხოლო უკვე მიღებული სარგებელი გამოაკლდება ძირ თანხას.

2.12. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: წლიური == (====) %;

2.13. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში: წლიური == (====) %;

2.14. ანგარიშის წარმოების საკომისიო: ====

2.15. დეპოზიტის გაცემასთან, შენარჩუნებასთან და დასრულებასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები: =====

2.16. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას განხორციელებული შემდეგი დაშვებები: ====

2.17. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას გათვალისწინებულია შემდეგი ფინანსური ხარჯები: ======

2.18. ბანკს შეუძლია საბანკო მომსახურების ნებისმიერ სტადიაზე ცალმხრივად შეცვალოს დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი, რაც განპირობებული უნდა იყოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით 5 პროცენტულ პუნქტზე მეტი ოდენობით.

until the term fixed in clause 2.5 herein (the Maturity). Upon the expiry of Maturity of the Present Agreement the Bank is obliged to transfer the Deposit back into Client's ownership, together with interest in the amount specified in clause 2.8 herein (the Interest Rate) accrued thereupon. It is hereby clarified that in case of automatic prolongation of the maturity, the accrued interest will be capitalized (upon to the point of view of client this condition will stay or will be deleted).

2.2. The Deposit Bank Account is opened upon the Application of the Client, submission of excerpt from the Agency of Public Registry and other documents, as stipulated under the relevant Georgian Legislation and Bank's Internal Policy.

2.3. Deposit Account Number: ===, reference number: ====.

2.4. Initial Deposited Amount: ==== (=====) ====.

2.5. The Maturity of the Deposi: == (====) - including ==/==/====.

2.6. Condition of Maturity Prolongation: no prolongation for the term identical to that given in clause 2.5. / will be prolonged automatically for the term indicated in clause 2.5. (upon the point of view of the client one of the conditions will be choosed and another deleted)

2.7. Withdrawal of interest: each month.

2.8. Interest Rate of the Deposit: annual ==== (=====) ==== %.

2.9. Type of interest rate: fixed.

2.10. Premature termination of the Deposit, transfer/withdrawal of the Deposit amount is not allowed without the consent of the Bank before the end of the term of the Deposit.

2.11. In case if the Bank issues consent according to the Article 2.10 then Interest Rate in the event of premature termination of the Deposit 0% will be accrued on the deposit and already received interest will be deducted from the principal amount.

2.12. Effective Interest Rate of the Deposit: annual == (====) %;

2.13. Effective Interest Rate in the event of 15% strengthening of GEL: aanual == (====) %;

2.14. Maintenance fee: =====

2.15. Financial expenses related to the issue, maintenance and completion of the deposit: =====

2.16. The following assumptions were made when effective interest rates referred in the Present Agreement were calculated: ====

2.17. The following financial expenses are taken into consideration when effective interest rates were calculated: =====

2.18. The Bank may unilaterally change the interest rate of the Deposit at any stage of banking services, which should be caused by changes in market interest rates by more than 5 percentage points.

2.19. The Bank may unilaterally change the current interest rate of the Deposit. Regarding the changes the Client will be informed in writing through email service 60 days in

2.19. ბანკს შეუძლია საბანკო მომსახურების ნებისმიერ სტადიაზე ცალმხრივად შეცვალოს დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი, აღნიშნულის შესახებ კლიენტს ეცნობება შეცვლილი საპროცენტო განაკვეთის ამოქმედებამდე სულ ცოტა 60 დღით ადრე ==== საშუალებით და ინფორმაცია გამოქვეყნდება ბანკის ფილიალებში.

2.20. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეპოზიტის ვადა შესაძლებელია ავტომატურად იქნეს გაგრძელებული, კლიენტი აღიარებს და ეთანხმება რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტომატური პროლონგაციის პირობა არ იქნება აღსრულებული და შესაბამისი ვადის ამოწურვისას „თავდაპირველი სადეპოზიტო თანხა“ და მასზე დარიცხული პროცენტი გადარიცხულ იქნება კლიენტის ბანკში არსებულ შესაბამისი ვალუტის მიმდინარე ანგარიშზე, ყველა თანმდევი შედეგით.

2.21. დეპოზიტის ავტომატურად პროლონგაციის შემთხვევაში, პროლონგაცია განხორციელდება იმ ტარიფებით, რომლებიც იქნება მოქმედი ბანკში დეპოზიტის პროლონგაციის დღეს. აღნიშნული ტარიფები განთავსდება ფიზიკური პირებისათვის აშშ დოლართან დაკავშირებით შემდეგ ლინკზე: http://isbank.ge/ka/business/business-deposits/fixed-term-deposit?currency=usd
ხოლო ევროსთან დაკავშირებით შემდეგ ლინკზე: http://isbank.ge/ka/business/business-deposits/fixed-term-deposit?currency=eur

3. პროცენტის დარიცხვა

3.1. დეპოზიტს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი სადეპოზიტო ანგარიშზე „პირველადი სადეპოზიტო თანხის“ განთავსების დღიდან.

3.2. საპროცენტო სარგებელი გამოითვლება „წინამდებარე ხელშეკრულების“ „ვადის“ დღეთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით და გამოითვლება წელიწადში 365 დღის დაშვებით.ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღიანი დაშვებით.

3.3. დეპოზიტზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა დაფუძნებული იქნება წლიურ საპროცენტო განაკვეთზე და იმ კალენდარულ დღეთა ფაქტობრივ რაოდენობაზე, რომელთა განმავლობაშიც კლიენტი ინარჩუნებს დეპოზიტს.

3.4. საპროცენტო განაკვეთის წინამდებარე ხელშეკრულების 2.18. და 2.19. პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილების მიუღებლობის შემთხვევაში, კლიენტი შეატყობინებს ბანკს საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ წერილობით, ბანკის შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 დღისა. თუ ბანკის აღნიშნულ შეტყობინებას პუნქტ 2.19-ში მითითებული შეტყობინების გაგზავნიდან ორი თვის განმავლობაში არ მოყვება კლიენტის მხრიდან რეაგირება, შეცვლილი საპროცენტო განაკვეთი მიღებულად ჩაითვლება. დეპოზიტს შეცვლილი საპროეცენტო სარგებელი

advance before the changed interest rate taking effect via ===== and by publishing the information in the branches of the Bank.

2.20. Irrespective of the fact that the Maturity envisaged under Present Agreement can be prolonged automatically, the Client hereby consents and acknowledges that in cases envisaged under Georgian legislation the prolongation condition shall be unenforceable and upon the initial Maturity the Initial Deposited Amount, along with interest accrued thereon shall be transferred to the Client's checking account, with all relevant consequences.

In case of automatic prolongation of the deposit, the prolongation will be carried out at the rates that will be valid in the bank on the day of the deposit prolongation. These tariffs will be posted on the following link for individuals regarding USD: http://isbank.ge/en/business/business-deposits/fixed-term-deposit?currency=usd and regarding EUR on the following link: http://isbank.ge/en/business/business-deposits/fixed-term-deposit?currency=eur

3. Interest Accrual

3.1. Interest shall be accrued on the Deposit from the date of the Initial Deposited Amount is deposited onto the Deposit Account Number.

3.2. The Interest rate is calculated according to the actual days of Maturity of the Present Agreement and is calculated considering 365 (three hundred sixty five) days per annum, in case of the leap year 366 days per annum.

3.3. The accrual of interest on the Deposit shall be based on the annual interest rate and actual number of calendar days during which the Client maintains the Deposit.

3.4. In case of refusal to accept changes in the Interest Rate of the Deposit in accordance with clauses 2.18. and 2.19. above, the Client shall notify the Bank of its decision in writing immediately, however, no later than within 5 days from the Bank's notice. If there is no response within two months from the date of dispatch of the notification, referred to in section 2.19. hereof, the Bank's offer of interest rate changes shall be deemed to be accepted. The Deposit shall bear interest at the new rate with effect from the first day of month following the month of accepting the changes.

დაერიცხება განაკვეთის ცვლილების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.	3.5. If the Client does not accept interest rate changes made by the Bank, the Present Agreement shall be deemed prematurely terminated and the amount actually existing on the Deposit Account referred to in clause 2.3 herein, including interest accrued thereon shall be transferred to the Client's current account, maintained at the Bank, without further interest accrual, within 3 (three) working days from the receipt of the rejection notice of the Client
3.5. თუ კლიენტმა არ მიიღო ბანკის მხრიდან შეცვლილი საპროცენტო განაკვეთი, „წინამდებარე ხელშეკრულება" ჩაითვლება ვადამდე შეწყვეტილად და 2.3 მუხლში მითითებულ სადეპოზიტო ანგარიშზე ფაქტობრივად არსებული თანხა გადაიტანება კლიენტის ბანკში არსებულ მიმდინარე, აღნიშნულ თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლითურთ, შემდგომი საპროცენტო სარგებლის დარიცხვის გარეშე, კლიენტისაგან უარყოფის შეტყობინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.	3.6. Any changes favorable to the Client shall not require an additional consent.
3.6. კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება არ საჭიროებს დამატებით თანხმობას.	
4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები	**4. Rights and Obligations of Parties**
4.1. **ბანკი კისრულობს ვალდებულებას:**	**4.1. The Bank assumes the obligation to:**
4.1.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაუხსნას კლიენტს სადეპოზიტო ანგარიში ბანკში დადგენილი წესისამებრ სამი სამუშაო დღის განმავლობაში, კლიენტის მიერ ბანკში საჭირო დოკუმენტების წარდგენის დღიდან;	4.1.1. Open a Deposit Bank Account for the Client in accordance with the Policy of the Bank within 3 working days from the submission of the relevant documents by the Client;
4.1.2. სამი საბანკო დღის განმავლობაში ჩარიცხოს ანგარიშზე შემოსული „პირველადი სადეპოზიტო თანხა" და დაიწყოს მასზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა, „წინამდებარე ხელშეკრულებით" შესაბამისად;	4.1.2. Receive and place, within 3 working days, the Initial Deposit Amount on the Client's account and commence the accural of the Interest thereon in accordance with the conditions of the Present Agreement;
4.1.3. დაარიცხოს და გადაუხადოს კლიენტს შესაბამისი საპროცენტო სარგებელი მისი „პირველადი სადეპოზიტო თანხის" ანგარიშზე განთავსებისათვის, „წინამდებარე ხელშეკრულების" შესაბამისად;	4.1.3. Accrue upon and pay out to the Client the applicable interest for saving his/her Initial Deposit Amount on the account, in accordance with the Present Agreement;
4.1.4. უზრუნველყოს კლიენტის მიერ ბანკისათვის მინდობილი ფულადი სახსრებისა და კომერციული საიდუმლოების დაცვა;	4.1.4. Ensure the confidentiality of sums and commercial information entrusted by the Client to the Bank;
4.1.5. დაუბრუნოს კლიენტს „პირველადი სადეპოზიტო თანხა" მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად, „ვადის" ამოწურვისას. „პირველადი სადეპოზიტო თანხა", დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად, გადაიტანება კლიენტის ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე, აღნიშნულ თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლითურთ, შემდგომი საპროცენტო სარგებლის დარიცხვის გარეშე, დეპოზიტის „ვადის" გასვლიდან 3 დღის განმავლობაში. წინამდებარე პირობა არ ვრცელდება თუ მხარეები წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტის შესაბამისად შეთანხმდებიან კაპიტალიზაციაზე. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, საპროცენტო სარგებელი შეწყვეტს დარიცხვას დეპოზიტზე ამ უკანასკნელის „ვადის" ამოწურვის ფაქტობრივი დღიდან.	4.1.5. Return the Initial Deposit Amount to the Client, together with Interest accrued thereupon, upon the expiry of the Maturity of the Deposit. The Initial Deposit Amount, together with the accrued Interest shall be transferred to the Client's current account, maintained at the Bank, without further interest accrual, within 3 (three) working days from the expiry of the Maturity of the Deposit. For avoidance of any doubt, this term does not apply in case of capitalization if parties agree under clause 2.1 of the present Agreement hereof. The Interest shall cease its accrual from the actual day of expiry of Maturity of the Deposit.
4.1.6. დაუბრუნოს კლიენტს „პირველადი სადეპოზიტო თანხა" მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად, კლიენტის მხრიდან „წინამდებარე ხელშეკრულების" ვადაზე ადრე შეწყვეტისას, კლიენტის მხრიდან 3.5 მუხლით გათვალისწინებული	4.1.6. Return the Initial Deposit Amount to the Client, together with the Interest actually accrued, upon the early termination of the Present Agreement by

მოთხოვნის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, საპროცენტო სარგებელი შეწყვეტს დარიცხვას დეპოზიტზე კლიენტისაგან ვადაზე ადრე შეწყვეტის მოთხოვნის მიღების დღიდან.	the Client, within 3 working days from the relevant request of the Client or in accordance with clause 3.5 hereof. For avoidance of doubt, the Interest shall cease its accrual from the actual day of receipt of termination notice of the Client;
4.1.7. შეასრულოს ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.	4.1.7. Duly observe requirements, as prescribed by the Present Agreement and/or Legislation.
4.2. **ბანკი უფლებამოსილია:**	**4.2. The Bank is authorized to:**
4.2.1. კლიენტთან ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, განკარგოს კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხები საკუთარი შეხედულებისამებრ დეპოზიტის „ვადის“ განმავლობაში;	4.2.1. Without any prior agreement witht the Client, make use of the amounts on the Client's Deposit Bank Account upon own discretion during the Maturity of the Deposit;
4.2.2. კლიენტის მხრიდან „წინამდებარე ხელშეკრულების“ დარღვევის შემთხვევაში, დახუროს ამ უკანასკნელის ანგარიში;	4.2.2. In case the Client violates the Present Agreement, close the latter's account;
4.2.3. განახორციელოს საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ დადგენილი ვალდებულება და მოახდინოს კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშის თაობაზე ინფორმაციის გაცვლა აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ელექტრონული ან წერილობითი ფორმით;	4.2.3. Perform obligation prescribed by the Law of Georgia "On Enforcement Proceedings" and exchange information concerning the Client's account with the National Enforcement Bureau in written or electronic form;
4.2.4. ცალმხრივად შეცვალოს ტარიფები, რომელიც დადგენილი იყო ხელშეკრულების დადების მომენტში. აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაციას ბანკი გამოაქვეყნებს მის ფილიალში ამისათვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე და გადააგზავნის კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	4.2.4. Unilaterally change the tarriffs, which were established at the moment of conclusion of the Present Agreement. Such changes shall be published in the Branches of the Bank and according notification shall be sent to the Client's e-mail address, if provided.
4.3. **კლიენტი კისრულობს ვალდებულებას:**	**4.3. The Client assumes the obligation to:**
4.3.1. სადეპოზიტო ანგარიშის წარმოებისათვის გადაუხადოს ბანკს 2.14. მუხლში აღნიშნული მომსახურების თანხა;	4.3.1. Pay the Bank the Deposit Account maintenance fee in the amount specified in clause 2.14. herein;
4.3.2. დაფაროს ყველა სახის ვალდებულება ბანკის მიმართ, მისი წარმოშობის შემთხვევაში;	4.3.2. Cover all types of indebtedness towards the Bank, in the event of such;
4.3.3. დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მის მიერ ბანკისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე წერილობით შეატყობინოს ბანკს იმ პირების შეცვლის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ დეპოზიტი, ან მიიღონ ინფორმაცია დეპოზიტის მდგომარეობის შესახებ და შეტყობინებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები. ცვლილებების შესახებ შეტყობინებისა და შესაბამისი საბუთების მიღებამდე ბანკის მიერ ოპერაციები სრულდება ადრე წარდგენილი საბუთებისა და ხელმოწერის ნიმუშის საფუძველზე;	4.3.3. Immediately notify the Bank of any changes and/or additions made to the documents submitted, as well as notify in written form the change of person(s) authorized to dispose the Deposit Account or receive information concerning such Deposit Account and annex the relevant documents to the notification. Before the receipt of the relevant noitification with according documents, the Bank performs operations on the basis of the documents and signature samples submitted earlier;
4.3.4. დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ბანკს მისამართის, ტელეფონის ნომრების, ელექტრონული ფოსტის მისამართის და სხვა საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შესახებ;	4.3.4. Immediately notify the Bank any changes made to address, telephone numbers, e-mails or other contact information;
4.3.5. დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები;	4.3.5. Fulfill the obligations under Present Agreement;
4.3.6. არ გამოიყენოს საბანკო ოპერაციები საქართველოს ნებისმიერი სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის (ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და სხვა).	4.3.6. Not use the account for any illegal purposes provided for by Legislation (money laundering, terrorism financing, etc);
4.4. **კლიენტი უფლებამოსილია:**	

4.4.1. მიიღოს „პირველადი სადეპოზიტო თანხა“ და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, დეპოზიტის „ვადის“ ამოწურვისას;

4.4.2. გასცეს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა ერთ ან რამდენიმე ნდობით აღჭურვილ პირზე საბანკო ოპერაციების საწარმოებლად;

4.4.3. მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.5. **კლიენტის განცხადება**

4.5.1. კლიენტის ადასტურებს, რომ სადეპოზიტო საბანკო ანგარიშის გასახსნელად, „წინამდებარე ხელშეკრულების“ გაფორმებამდე მან ბანკს მიმართა შესაბამისი წერილობითი განაცხადით (ბანკში დადგენილი ფორმით), რომლითაც დაადასტურა, რომ სურს სადეპოზიტო ანგარიშის გახსნა, იცნობს ბანკის ტარიფებს, შეთავაზებულ ყველა პირობას (საბანკო მომსახურების კუთხით), ეთანხმება მათ.

4.5.2. კლიენტი ასევე ადასტურებს, რომ სადეპოზიტო ანგარიშის გასახსნელად წარმოადგინა ყველა აუცილებელ დოკუმენტი და განაცხადში მიუთითა სრული და უტყუარი მონაცემები.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებათა ურთიერთშესრულებისაგან ფორს-მაჟორული ვითარების შემთხვევაში. ფორს-მაჟორის არსებობა ავტომატურად არ იწვევს „წინამდებარე ხელშეკრულების“ შეწყვეტას.

5.2. მხარე შეატყობინებს მეორე მხარეს წერილობით ფორს-მაჟორული გარემოებისა და მისი შედეგების შესახებ ასეთის დადგომიდან შესაძლებელ მინიმალურ ვადაში.

5.3. ფორს-მაჟორული ვითარების არსებობისას „წინამდებარე ხელშეკრულების“ მხარეთა ვალდებულების შესრულების დრო გაგრძელდება ფორს-მაჟორული გარემოებისა და მისი შედეგების შეწყვეტამდე.

5.4. თუ მორს-მაჟორული ვითარება გაგრძელდება სამ თვეზე მეტი ხნით, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტაზე ან შეცვლაზე ფორს-მაჟორული ვითარების გათვალისწინებით.

6. სხვადასხვა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. ნებისმიერი დავა და უთანხმოება, რომელიც გამომდინარეობს **წინამდებარე ხელშეკრულებიდან** ამ მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკებით ან, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, გადაეცემა **წინამდებარე ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს.

4.4. The Client is authorized to:

4.4.1. Receive the Initial Deposit Amount to the Client, together with Interest accrued thereupon, upon the expiry of the Maturity of the Deposit.

4.4.2. Issue duly notarized Power of Attorney to one or several third persons in order to perform bank operations;

4.4.3. Request the fulfillment of obligations under the Present Agreement by the Bank.

4.5. Declaration of Client

4.5.1. The Client hereby declares, that the in order to open and maintain the Deposit Account, it addressed the Bank with a relevant Application Form (as established by the Bank), by which he/she confirmed, that it wishes to open a Deposit Account, is informed about the tarriffs in force at the Bank and all terms offered (in the aspect of banking services) and accepts them.

4.5.2. The Client also declares, that it submitted all relevant documents necessary for the opening of the Deposit Account and provided accurate information in the Application Form.

5. Force Majeure

5.1. The Parties shall be excused from performing their obligations in the event of force majeure. Force Majeure does not automatically lead to the termination of the Present Agreement.

5.2. A party shall notify the other party in writing of Force Majeure and its effects within 24 hours after the occurrence of such events.

5.3. In the event of Force Majeure, the time for performance of obligations by the Parties hereunder shall be extended until the elimination of the Force Majeure events or their effects.

5.4. If Force Majeure continues for more than three months, the parties may agree to terminate or modify the Present Agreement due to Force Majeure events.

6. Miscellaneous

6.1. This Agreement shall be governed by and be construed in accordance with Georgian legislation.

6.2. Any dispute and controversy arising out, pertaining to or in connection with **the Present Agreement**, shall be settled through negotiations or, failing agreement, shall be referred to the arbitration determined by **the Present Agreement.**

6.3. Any dispute arising between **the Parties** in respect of this agreement, including any matter regarding existence,

6.3. მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს"(DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348) (შემდგომში- **არბიტრაჟი).**

6.4. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას **არბიტრაჟის** მისამართია: ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი, მე-2 სართული, ოფისი 11, ვებ.გვერდი: www.drc-arbitration.ge

6.5. **მხარეები** თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასარჩელო მოთხოვნა არ აღემატება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, საარბიტრაჟო განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოხდება ზეპირი მოსმენის გარეშე.

6.6. არბიტრაჟის მიერ დავის განხილვა მოხდება ქართულ ენაზე "არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონისა და **არბიტრაჟის** საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად.

6.7. ბანკი უფლებამოსილია დაუთმოს წინამდებარე ხელშეკრულებასთან ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლება სხვა პირს კლიენტის თანხმობის გარეშე ამ უკანასკნელისადმი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. კლიენტს არ გააჩნია უფლება დაუთმოს კუთვნილი უფლება-მოვალეობანი სხვა პირს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

6.8. მხარეთა შორის ნებისმიერი კომუნიკაცია იწარმოებს წერილობითი ფორმით. წერილობითი შეტყობინება მიიჩნევა საკმარისად, თუ იგი მხარისათვის მიწოდებული იქნება კურიერის მიერ, ან დაზღვეული წერილით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ან ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ ბანკინგით ან ჩაიბარებს პირადად, წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მისამართზე ან/და შეთანხმებულ ნომერსა და რეკვიზიტებზე. თუ მხარე არ შეატყობინებს მეორე მხარეს მისამართის ან სხვა საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შესახებ წინასწარ, შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად თუ იგი მიტანილი იქნება ცნობილ მისამართზე.

6.9. კლიენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები არის უტყუარი და ზუსტი. კლიენტი თანახმაა, რომ ბანკმა კლიენტი იდენტიფიცირების, სადეპოზიტო თანხის წამომავლობის და წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მიზნით მოახდინოს კლიენტის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში მითითებული პერსონალური მონაცემების, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის და მისაღები სადეპოზიტო თანხის შესახებ მონაცემების დამუშავება.

6.10. კლიენტი თანახმაა, რომ კლიენტის პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაეცეს ბანკის დამფუძნებლებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, კლიენტის კრედიტორებს, აუდიტორებს, იურდიული

validity and termination of the agreement and/or arbitration clause shall be examined and finally decided on by the permanent court of arbitration Dispute Resolution Center (the DRC assigned the registration code 204547348) (hereinafter- **Arbitration).**

6.4. The address of the **Arbitration** by the date of signing **the Present Agreemen**t is: 71 Vazha-Pshavela Avenue, Block 4, Floor 2, office N 11; Tbilisi and the web-site is www.drc-arbitration.ge

6.5. **Parties** agree that if the dispute amount is not more than GEL 50 000 (Fifty Thousand), the dispute shall be discussed and the decision shall be made without the oral hearing.

6.6. The dispute will be examined by the **Arbitration** in Georgian language according to the Law of Georgia regarding the Arbitration and the rules of arbitration proceedings of the **Arbitration**.

6.7. The Bank may assign all or any of its rights under the Present Agreement or other Agreement(s) associated thereto (assignment) to other persons without the Client's consent by notifying the Client in writing. The Client shall not assign all or any of its obligations to any other person without the Bank's prior written consent.

6.8. Any notice or communication between **the Parties** shall be in writing. The communication or notice shall be deemed sufficient if delivered by a courier or certified mail, or by text message, or by email, or by internet banking, or if the client will receive personally to the appropriate party at its address specified herein and contact information agreed between the parties, If the party fails to notify of changes in its address or other contact information in advance, the notice or communication shall be deemed to be duly delivered to the previous address.

6.9. The **Client** confirms that the information provided by him/her is correct and is not misleading. The **Client** agrees that the **Bank** is entitled to process the **Client's** personal data, which is written in the identification documents, copy of the document confirming ID and the information regarding the **Client's** deposit amount for the purposes to identify the **Client**, evaluate the deposit amount and to conclude the **Present Agreement .**

6.10. **The Client** agrees that personal data of the **Client** maybe transferred to the shareholders, members of the supervisory board of the **Bank**, creditors, auditors, providers of legal service to the Bank, governmental bodies in order to conduct audit and legal diligence, monitor the loans issued by the **Bank** and in case of other events foreseen by the law

6.11. While performing their obligations, the Parties rely on the Legislation, the Present Agreement and other Agreement(s) associated thereto.

6.12. Any amendments or additions to the Present Agreement shall be valid if made in writing and duly signed by both Parties.

6.13. The Present Agreement is made in the Georgian and English languages in two counterparts of equal legal effect, one for each party. In case of discrepancy between the

მომსახურების გამწევ პირებს, სახელმწიფო ორგანოებს ბანკის აუდიტორული და იურიდიული შემოწმების, ბანკის მიერ მიღებული სესხების მონიტორინგის მიზნით და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში .

6.11. თავიანთ უფლება-მოვალეობათა განხორციელებისას მხარეები ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით, „წინამდებარე ხელშეკრულებითა“ და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით.

6.12. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაფორმდა წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

6.13. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს. ხელშეკრულების სხვადასხვაენოვან ვერსიათა შორის შეუსაბამობის წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვერსიას.

6.14. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, კლიენტს შეუძლია წარადგინოს პრეტენზია ზეპირად, ელექტრონული ფოსტით, ვებ-გვერდის მეშვეობით, ტელეფონით ან ფილიალში წერილობით შესაბამისი ფორმის შევსების გზით ან თავისუფალი წერილობითი ფორმით. პრეტენზიის მიღებაზე უფლებამოსილია ბანკის წარმომადგენელი. პრეტენზიის, გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა, მიღებისას პრეტენზიის განმცხადებლისათვის წერილობით/ელექტრონულად ხდება პრეტენზიის მიღების დადასტურება. პრეტენზიების მიღება, დამუშავება და მათზე რეაგირება მოხდება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში და შესაბამისი პასუხი შეტყობინებული იქნება კლიენტისათვის სასურველი ნებისმიერი ფორმით. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც ბანკის ვებ-გვერდზე (www.isbank.ge), ასევე ბანკის ფილიალებში.

6.15. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge

English and Georgian texts, the Georgian version of the Present Agreement shall prevail.

6.14. In relation to any complaints arising out of the Present Agreement, Client shall make complaint verbally, by email, through web page, by telephone or in written via filling in a relevant complaint form at the secretary of the Branch or in free written form. Representative of the bank is authorized to receive complaint. Upon receipt of a claim, except in cases of verbal form, a written/electronic confirmation of receipt of the claim is made to the applicant. The handling and responding to the complaints received shall be carried out within 30 (thirty) calendar days and the reply thereto shall be promptly provided to the Client in the form preferred by the latter. Information about the procedure for reviewing claims is available both on the bank's website (www.isbank.ge) and in the bank's branches.

6.15. According to the Law of Georgia “On Deposit Insurance System”, from April 1, 2026, the amount on the deposit / account of all depositors, regardless of the number of deposits / accounts, is insured in each commercial bank and microbank and will be reimbursed by the Deposit Insurance Agency within 50,000 GEL. The amount on all accounts of all depositors in a commercial bank and microbank is automatically insured without any additional charges. For more information, visit the website of the Deposit Insurance Agency: www.diagency.ge

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! **ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს.** ბანკი: **სს „იშბანკი საქართველო“** უფლებამოსილი წარმომადგენელი: **======** _____ კლიენტი **======** _____	**A Deposit made in foreign currency imposes a significant risk on the Customer!** **Currency exchange rate fulctation may significantly decrease interest amounts expressed in GEL.** The Bank: **JSC ISBANK GEORGIA** Authorized representative: **=========** _____ The Client **========** _____